



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1708
24/09/2018

ქალაქი ბათუმი

1708-05-4-201809241726



2018 წლის „საპატიო მაჭახლელი“-ს გამოსავლენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და „საპატიო მაჭახლელის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის N13 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას 2018 წლის „საპატიო მაჭახლელი“-ს გამომვლენი კომისია დასახელებული კანდიდატების შესახებ ცნობების შეჯერებისა და განხილვის მიზნით შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კახა ფუტყარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ქეთევან დევაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
- გ) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
- დ) გელა მალაყმაძე - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაჭახლის ადმინისტრაციულ ერთეულში, კომისიის წევრი;
- ე) ნარგიზ ციმნარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების II კატეგორიის III რანგის უფროსი სპეციალისტი - განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში, კომისიის მდივანი;

2. ეთხოვოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება:

- ა) გურანდა დოლიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) მალხაზ სალვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. დაევალოს კომისიას შემოსული განცხადებების საფუძველზე 2018 წლის „საპატიო მაჭახლელი“-ს კანდიდატის წარდგენა მიმდინარე წლის 02 ოქტომბრამდე.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა